



ადამიანის უფლებათა საბჭოს გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისიის

მუნიციპალიტეტებთან თანამშრომლობის პლატფორმის წევრთა საინფორმაციო სამუშაო შეხვედრა

29 აპრილი, 2020

შეხვედრის ოქმი

შეხვედრის თავმჯდომარე:

ლელა აქიაშვილი, პრემიერ-მინისტრის მრჩეველი ადამიანის უფლებების და გენდერული თანასწორობის საკითხებში, უწყებათაშორისი კომისიის თავმჯდომარე

სამუშაო ჯგუფის სხდომის მდივანი:

გულიკო მაჭარაშვილი, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ადამიანის უფლებათა სამდივნოს სპეციალისტი

შეხვედრა გახსნა საქართველოს პრემიერ-მინისტრის მრჩეველმა ადამიანის უფლებების და გენდერული თანასწორობის საკითხებში **ლელა აქიაშვილმა**, რომელმაც მისასალმებელი სიტყვის შემდეგ, მადლობა გადაუხადა დამსწრე საზოგადოებას იმისთვის, რომ პანდემიით გამოწვეული მდგომარეობის მიუხედავად, შეუფერხებლად დაიგეგმა საინფორმაციო შეხვედრა.

აღნიშნულის შემდეგ, კომისიის თავმჯდომარემ მიმოიხილა მუნიციპალიტეტებთან თანამშრომლობის პლატფორმის მნიშვნელობა და მისი როლი სახელმწიფოში გენდერული თანასწორობის მიღწევის პროცესში. მანვე აღნიშნა, რომ შეხვედრა ეს პირველი საინფორმაციო სამუშაო და გაცნობითი შეხვედრაა. სამომავლოდ კი იგეგმება თემატური შეხვედრები არასამთავრობო ორგანიზაციების, ექსპერტების და შესაბამისი უწყებების ჩართულობით. მანვე აღნიშნა, რომ დღევანდელ შეხვედრაზე მიღწევებთან ერთად, მნიშვნელოვანია საუბარი შეეხოს გამოწვევებს, რაც არსებობს ამ მიმართულებით.

ლელა აქიაშვილმა შეხვედრის მონაწილეებს გააცნო დღეისათვის სახელმწიფოში მოქმედი ზოგადი პოლიტიკა გენდერული თანასწორობისა და ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით, მან მიმოიხილა 2014-2020 წლების ადამიანის უფლებათა სტრატეგიის მნიშვნელობა და აღნიშნა, რომ საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია აქტიურად მუშაობს ახალი

სტრატეგიის შემუშავებაზე. მან, ასევე, წარადგინა პრემიერ-მინისტრის ადამიანის უფლებათა საბჭოს განახლებული სტრუქტურა და გენდერული თანასწორობის მნიშვნელობა სამთავრობო სამოქმედო გეგმის ჩარჩოში.

მისი თქმით, 2019 წლის დეკემბერში, კომისიის წლის შემაჯამებელ, გასვლით სხდომაზე, გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისიის მიერ გამოიკვეთა სტრატეგიული პრიორიტეტები და შესაბამისად შეიქმნა 9 სამუშაო ჯგუფი:

1. ქალთა მიმართ ძალადობა და ოჯახში ძალადობა;
2. ქალთა ეკონომიკური გაძლიერება;
3. ბავშვობის ასაკში ქორწინება და სხვა მავნე პრაქტიკები;
4. გენდერული თანასწორობის მეინსტრიმიზი;
5. გენდერული ძალადობასთან დაკავშირებული მონაცემების შეგროვება;
6. თანამშრომლობა და კოორდინაცია ადგილობრივ და ცენტრალურ ხელისუფლებას შორის - ამ მიმართულებით მოცემული პლატფორმა იმუშავებს;
7. საბიუჯეტო პროგრამებში გენდერული ასპექტის ასახვის ჯგუფი;
8. სექსუალურ შევიწროება და პასუხისგების სისტემის დანერგვა საჯარო სექტორში;
9. ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების განხორციელება.

ლელა აქიაშვილმა, მიმოიხილა პანდემიის დროს მიმდინარე და გატარებული ზომები. მან აღნიშნა, რომ COVID 19-ის პანდემიამ ადამიანთა უფლებების დაცვის კუთხით წარმოშვა არაერთი საჭიროება, მათ შორის, ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის კუთხით. შესაბამისად, სამთავრობო ბრიფინგები ითარგმნება ჟესტურ ენაზე, იბეჭდება საინფორმაციო ბროშურები ქართულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე, იგზავნება SMS შეტყობინებები სამიზნე ჯგუფებთან - მათ შორის, ოჯახში ძალადობისა და ქალთა მიმართ ძალადობის თემატიკაზე და სხვა არაერთ მიმართულებასთან ერთად, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია მუშაობს მოსახლეობის სოციალურ უზრუნველყოფაზეც.

აღნიშნულის შემდეგ, მომხსენებელმა ვრცლად ისაუბრა პოტენციური მსხვერპლების დაცვის აუცილებლობაზე და ამ კუთხით საქართველოს მთავრობის მიერ გადადგმულ ნაბიჯებზე. მან აღნიშნა, რომ ყველასთვის უნდა იყოს მიწოდებული შესაბამისი სახელმწიფო სერვისი, რაც გულისხმობს ყველა თავშესაფრისა და ყველა კრიზისული ცენტრის უწყვეტ რეჟიმში მუშაობას და სხვა არაერთ ქმედით ნაბიჯს. მანვე აღნიშნა, რომ სწორედ ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის ბრძოლის შემადგენელი ნაწილია 112 აპლიკაციის აქტიურად გამოყენების საკითხი, რომელიც ჩუმი დილაკით საშუალებას აძლევს მსხვერპლს შეტყობინების განხორციელების, აქვე აღინიშნა 116 006 ოჯახში ძალადობის ცხელი ხაზი არაერთი ფუნქციით. ამასთანავე, საინფორმაციო ბროშურები საკარანტინო ზონებში უზრუნველყოფილია იმ მოქალაქეებისთვის, რომლებიც ბრუნდებიან ქვეყანაში, ასევე,

სააფთიაქო ქსელებსა და სასურსათო ქსელებში გაიკვრება ინფორმაციული პოსტერები, რათა საზოგადოებამ მიიღოს რელევანტური ინფორმაცია არსებული სერვისების შესახებ.

მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლაში უდიდესი როლი აქვს სწორედ სახელმწიფო რწმუნებულებს და მუნიციპალიტეტებს და მოუწოდა დამსწრე საზოგადოებას ცნობიერების ამაღლების აქტივობების განხორციელებისკენ და ინფორმაციის გავრცელებისკენ.

აღნიშნულის შემდეგ **დისკუსია გაიხსნა** ოჯახში ძალადობისა და ქალთა მიმართ ძალადობის ფაქტებთან დაკავშირებით მიმართვიანობის სტატისტიკასთან დაკავშირებით და ერთხმად აღინიშნა, რომ პანდემიის დროს სტატისტიკა გაზრდილი არ არის, თუმცა აქვე გაკეთდა დათქმა, რომ აღნიშნული არ იძლევა სიმშვიდის საფუძველს, ვინაიდან შესაძლოა არსებობდეს ფაქტები, რომლებიც ვერ აღწევს სამართალდამცავ ორგანოებამდე. თუმცა, აღინიშნა ისიც, რომ გასულ წლებთან შედარებით მიმართვიანობის გაზრდა მიუთითებს საზოგადოების მხრიდან ნდობის გაზრდასა და დანაშაულთან ბრძოლის ეფექტიანობაზე.

შეხვედრის ფარგლებში აღინიშნა, რომ ადგილობრივ ხელისუფლებასთან თანამშრომლობის პლატფორმის მუშაობა, შესაძლოა, ორი მიმართულებით წარიმართოს, პირველი გულისხმობს დამოუკიდებლად მუნიციპალიტეტთან თანამშრომლობის სამუშაო ჯგუფის წევრების შეხვედრას და მუშაობას, ხოლო მეორე მხრივ, უწყებათაშორისი კომისიის სხვა სამუშაო ჯგუფების საქმიანობაში ჩართვასაც და ერთობლივად მუშაობას.

დისკუსიისას გამოიკვეთა შემდეგი ბარიერები თუ ხარვეზები:

- სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციაში გენდერულ საკითხებზე მომუშავე პირების უფლებამოსილებათა განჭვრეტადად გაწერა და ფუნქციების მკაფიოდ გამიჯვნა დებულებაში;
- გენდერული თანასწორობის შინაარსსა და მნიშვნელობაზე საზოგადოებისა და მათ შორის, საჯარო მოხელეთა მგრძობელობის ამაღლება;
- ადგილობრივ დონეზე ქალთა ოთახების დანიშნულების პრაქტიკულობის გაზრდა;
- დონორი ორგანიზაციების მხრიდან ჩართულობის გაზრდა;
- რეგიონებში არსებული გენდერული სტერეოტიპების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერება;
- ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობისთვის, ერთიანი სტატისტიკური მონაცემთა ბაზის ფორმირება და ხელმისაწვდომობა რელევანტურ ინფორმაციაზე.

დისკუსიის ფარგლებში გამოითქვა მოსაზრება, რომ გენდერულ საკითხებზე პასუხისმგებელ პირებს სახელმწიფო რწმუნებულის აპარატში უფლებამოსილება უნდა გაეზარდოთ და მათი უფლებამოსილებები საჭიროა დებულებაში გაიწეროს, რათა ეფექტიანად შეძლონ პლატფორმის მიზნების განხორციელება. ასევე აღინიშნა, რომ უნდა გაუმჯობესდეს კოორდინაცია და თანამშრომლობა ადგილობრივ დონეზე გენდერული თანასწორობის საბჭოსებთან და გენდერზე პასუხისმგებელ პირებთან. ასევე აღინიშნა, რომ მერიებში

გენდერზე პასუხისმგებელი პირები ასრულებენ უდიდეს სამუშაოს და მათი ხილვადობა დაბალია, რაც ასევე ცნობიერების ამაღლებას უკავშირდება.

გენდერული თანასწორობის საკითხებზე მგრძობელობის და ინფორმაციულობის ამაღლება საზოგადოებისა და უშუალოდ საჯარო მოხელეთათვის იმ მნიშვნელოვან საკითხა შორის დასახელდა, რომელზეც მუშაობა უნდა გაძლიერდეს. ასევე, ითქვა, რომ სტრატეგიებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების პროცესში ექსპერტულ დონეზე იმ პირების ჩართვა და მათი რეკომენდაციების მოსაზრებაა მნიშვნელოვანი, რომლებიც უშუალოდ არიან აღჭურვილნი პრაქტიკული ცოდნითა და გამოცდილებით. ამასთანავე, საჭიროა, ადგილობრივ დონეზე გაიმიჯნოს გენდერულ საკითხებზე მომუშავე პირების ვალდებულებები და განისაზღვროს გაკვეთილი ურთიერთდამოკიდებულების ფორმა იმისთვის, რომ კოორდინაციის მექანიზმი იყოს ეფექტიანი.

დისკუსიის შემდეგ, ლელა აქიაშვილმა შეაჯამა შეხვედრა.

დანართი N1. მონაწილეთა სია

1. ლელა აქიაშვილი - პრემიერ მინისტრის მრჩეველი ადამიანის უფლებებისა და გენდერული თანასწორობის საკითხებში; შებვედრის თავმჯდომარე;
2. გულიკო მაჭარაშვილი - საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ადამიანის უფლებათა დაცვის სამდივნოს სპეციალისტი;
3. გიორგი ბედომე - საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ადამიანის უფლებათა დაცვის სამდივნოს სპეციალისტი;
4. ეკა ჯაფარიძე - საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია, რეგიონებთან ურთიერთობის დეპარტამენტი, ანალიტიკოსი;
5. მარიამ რევიშვილი - იმერეთში სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციაში გენდერული თანასწორობის საკითხებზე პასუხისმგებელი პირი;
6. მარინა გაჩეჩილაძე - სამცხე-ჯავახეთში სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციაში გენდერული თანასწორობის საკითხებზე პასუხისმგებელი პირი;
7. ირინა ბატაძე - აჭარაში მთავრობა, იურიდიული განყოფილების უფროსი;
8. ნანა კაკაჩია - სამეგრელო-ზემო სვანეთში სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციაში გენდერული თანასწორობის საკითხებზე პასუხისმგებელი პირი;
9. ირმა მაჭარაშვილი - რაჭა-ლეჩხუმი სამხარეო ადმინისტრაცია, აპარატის უფროსი;
10. ნანი ჯახუტაიშვილი-გოგელია - გურიაში სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციაში გენდერული თანასწორობის საკითხებზე პასუხისმგებელი პირი.